

ინტერნაციონალიზაცია და უცხოელ სტუდენტთა პრობლემები საქართველოში

ანა ღვინიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მათა ბიწაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას ხელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა ღვინიაშვილი

25.06.2019

აბსტრაქტი

საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა საქართველოში წლიდან წლამდე იზრდება, რაც დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკასა და საქართველოში არსებულ უნივერსიტეტებს შორის კონკურენციის ხარისხზე. დადებითი მხარეების გარდა, არსებობს მრავალი ბარიერი, რომელიც უცხოელ სტუდენტებს ექმნებათ ქართულ უნივერსიტეტებში სწავლისას.

ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს სტუდენტთა რეალური ყოფა და პრობლემები, რომლებსაც უცხოელები აწყდებიან საქართველოში ცხოვრებისას თუ სწავლისას. ასევე, გვინტერესებს შეესაბამება თუ არა, მათი მოლოდინები რეალობას. ნაშრომით გვსურს რეკომენდაციები მივცეთ უნივერსიტეტებსა და სახელმწიფოს, რათა გაუმჯობესდეს უცხოელ სტუდენტთა ზოგადი მდგომარეობა.

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ბაკალავრის საფეხურის უცხოელი სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ საქართველოს ექვს უნივერსიტეტში. კვლევაში გამოყენებულია როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კომპონენტი.

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილე რესპონდენტებს ელექტრონულად გაეგზავნათ კითხვარი. თვისებრივ კომპონენტში კი, გამოყენებულია სიღრმისეული ინტერვიუ სპეციალურად შერჩეულ ფოკუს ჯგუფთან.

მონაცემთა ანალიზის საფუძველზე, გამოიკვეთა საკითხები, რომლებიც ყველაზე მეტად აწუხებთ უცხოელ სტუდენტებს, მათ შორისაა: ენის ბარიერი, რასიზმი, სოციალური საკითხები, სასწავლო რესურსების სიმცირე, ინტერნაციონალიზაციის დაბალი დონე.

საკვანძო სიტყვები: *უცხოელ სტუდენტთა პრობლემები, ინტერნაციონალიზაცია, საერთაშორისო განათლება.*

Abstract

The number of international students increases from year to year, which is positively reflected on the economy of the country. The increased number of students at the same time increase the competition level of the universities in Georgia. Despite the positive impacts, many barriers were revealed that foreign students face, when they enter the University.

The purpose of the work is to study real life of the students and the problems the foreign students face, when they live or study in Georgia. We also are interested, if their expectations are true. With this work we would like to give recommendations to the universities to improve foreign student's conditions.

In the target group of research are the foreigner students of the bachelor's level, who are studying at the six universities of Georgia. Both quantitative and qualitative components are used in the research.

In the quantitative research respondents were involved through online questionnaire, the qualitative component was held through interview for specially selected focus group.

On the basis of data analysis the issues, that are most concerned with foreign students are revealed among them are: language barrier, racism, social issues, lack of teaching resources, a low level of internationalism.

Key Words: *Foreigner student's problems, internationalization, International education.*

მადლობა

წინამდებარე ნაშრომის მომზადებაში ბევრმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, რისთვისაც მინდა მადლობა გადავუხადო თითოეულ მათგანს.

პირველ რიგში, ფასდაუდებელია მათა ბიძაწის, სამეცნიერო ხელმძღვანელის როლი, რომელიც ნაშრომის შექმნის ყველა ეტაპზე მამლევდა მიმართულებას.

ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო კვლევაში მონაწილე უნივერსიტეტის თანამშრომლებს, რომლებიც დამეხმარნენ ინფორმაციის მოძიებასა და კითხვარის გავრცელებაში. მსურს მადლიერება გამოვხატო იმ სტუდენტების მიმართ, რომლებმაც კვლევაში მონაწილეობა მიიღეს შემდეგი უნივერსიტეტებიდან: დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტი, თბილისის სამედიცინო აკადემია, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი.

და ბოლოს, განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს ჯგუფელებს, მომავალ განათლების სპეციალისტებს, რომლებსაც სურთ დღევანდელი განათლების სისტემა უკეთესობისკენ შეცვალონ.